

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კვილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვრობთვის. (იოან. 10—11).

გმოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყო სხნარული ცთა შინა, ერთსათვის ცოდვლისა. (ლუკ. 15—4).

მოველიო ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირო-მამიენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 23

1883—1893

15 დეკემბერს.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდლო-
ების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში
ოქტომბრის 8—14-დღე.

(გაგრძელება *)

12 ოქტომბერს სამღვდლოების კრებას ჰქონდა
ბასი და მჯელობა მათა მაღალ ყა ელად უსამღვდე-
ლოესობის, საქართველოს ექსარხოსის მთავარ-
ების კოპოსის ელადიზირის წინადადებაზე, რომელითაც
იხზოებოდა, რომ ერთი განსაკუთრებული მი-
სიონერი დაენიშნათ ქართლ-კახეთის ეპარქიაში და
მისი ჯამაგირის წყაროც გამოენახათ. ნათქვამი
ყო, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიაში ოთხმოცი ათასი

სხვა-და-სხვა მწეალებელი არის. რუსეთის ზო-
გიერთ ეპარქიებში არა თუ თითო, არამედ ორი და
ზოგან სამი მისიონერი ჰქავსთო და ქართლ-კახეთის
ეპარქიაში არც ერთი მისიონერი არ არისო. ამისათ-
ვის კრებას მიეცა წინადადება, რომ მას გამოენახა
რაიმე საშუალება ერთი საზოგადო მისიონერის ჯა-
მაგირის დასანიშნავად.

ამ კითხვამ დიდი ბასი გამოიწვია კრებაზე. ბე-
რი რამ საყურადღებო გამოითქვა ამ კითხვის შესა-
ხებ. აქ ჩვენ უნებლიეთ გეგვანდება ერთი სიტყვა,
რომელიც უთხრა თფილისის სას. სემინარიის ინსპექ-
ტორმა მათ მაღალ ყოველად უსამღვდლოესობას აწ
მეტროპოლიტს პალლადის თფილისში სამღვდლოე-
ბასთან გამოთხოვების დროს. ინსპექტორმა, მღვდელ-

*) იხ. «მწყემსი» № 17 1893 წ.



მონაზონმა ი—მე მოახსენა მთ მეთუფებას: «ყველამ იცის, რომ რუსეთიდან მრავალი რიცხვი მწვალებლებისა იგზავნიან და მოდიან საქართველოში. აქ ნახავთ თქვენ «მოლანებს», «პრილუებს», «საკუნებს», «ლუხობორებს», «სუბოტნიკებს», «ბატიკებს», «სკოპებს», «მტულისტებს» და რაგვარი მწვალებლები არ გნებავთ, რომ აქ არ შეხვდეთ. საკვირველია, რომ ეს მწვალებლები იგზავნიან ზოგი დასასჯელთა და ზოგი თავის სურვილით თვითონვე მოდიან და ესახლებიან ამ შორეულ ქვეყანაში. მოშორდებიან თუ არა ეს პირნი რუეთს, მათზედ აღარაინ ფიქრობს. მე ვაბედულად შემძლია ვსთქვა, რომ დღემდის მათზედ არავის არ უფიქრია და მხურვალე შრომა არ მიუღია მთ მოქცევაზედ და ქეშმარტ ვახუნდ დასაყენებლად. მართალია, ისინი მოშორდენ რუსეთს, მაგრამ ჩენი მოვალეობაა მათზედ ზრუნვა, სადაც უნდა გავგზავნოთ და სადაც უნდა წავიდნენ იგინი. თქვენმა მალალ ყოვლად უსამღელდლოქობამ მიაქცია ამ დაკარგულ სამწყსოთა ყურადღება და მთ ქეშმარტ ვახუნდ დაყენებას. ქეშმარტად, საქართველოში სხვა მრავალ თქვენ კეთილ საქმეთა და შრომითა შორის, პირველი ადგილი უჭირავს თქვენს ზრუნვას რუსეთიდან გამომხვეწილ სხვა და სხვა მწვალებელთა ზედა. დღემდის მრავალი მწვალებლები გადმოხვეწილან რუსეთიდან საქართველოს მხარეში და აქ ღვთის ანაბარად არიან გაშვებულნი. საქმით არა ჩნანს, რომ მათზე ვინმე ზრუნავდეს. ნუ თუ საქმაოა მარტო ის, რომ ჩვენ რუსეთიდან ეს მწვალებლები საქართველოში გამომგზავნოთ და აქ დავსახლოთ?» ასე დაბალოვა ორატორმა თავისი, მართლადაც, საყურადღებო სიტყვა.

აქვე უნებლით გვაგონდება სიტყვა, თქმული სამხედრო წოდების სამღვდლოთა უფროსი მღვდლის დეკ. ექლოზოგისკიან, რომელიც მან სთქვა პეტერბურღში ძმობის კრებაზე. «ყარსის ოლქში, ბრძანა მან, მე ენახე რუსეთიდან გავგზავნილი მრავალი სხვა და სხვა მწვალებლები, რომელნიც ძლიერ მტრულად უყურებენ რუსეთს, საიდგანაც იგინი გამოაძიეს»... და სხ.

ქეშმარტად რაღაცა სასწაულებია ქართველების თავზედ, რომელნიც 1500 წ. განმავლობაში სრულებით

მოკლებულნი არიან ყოველგვარ მწვალებლებს და არც კი იციან ქართველებმა, ვინ არიან «რასკოლნიკები?» უმეტესად შესანიშნავია ის გარემოება, რომ ამოდენა აუარებელ მწვალებლებს, საქართველოს მხარეში გადმოხვეწილთ, ვერც ერთი ქართველი ვერ შეუტყდათ და ვერ მოუქცევიათ თავის სჯულზედ. ზოგიერთი პირნი, რომელნიც ყოველთვის ახირებულად აზრობენ და სჯიან, ამ შესანიშნავ გარემობას მიაწერენ ქართველების სარწმუნოებითი გულგრილობას. ეს მართალი არ არის. საქართველოში ისე დაცემული არ არის სარწმუნოება, როგორც ამას ამჟღავნებენ ხოლმე ზოგიერთი თავიანთი ანგარიშებში. ესთქვით, ეს პირნი მართლს ბრძანებენ, ვითომც ქართველები გულგრილნი არიან სარწმუნოებაზედ. ეს თუ ასეა, როგორ მოხდა, რომ ოთხმოცი ათასმა სხვადასხვა მწვალებელმა ერთი ხუთიოდ-ათიოდე ქართველი ვერ მოაქციეს თავის სჯულზედ? ვანა უფრო საადვილო არ არის იმისთანა ხალხის მწვალებლად ვახლომა, რომელიც გულგრილია თავის სარწმუნოებაზედ?.. ბოდიშს ვითხოვთ მკითხველთან, რომ ჩვენს საგანს გადავსცდეთ.

შესანიშნავი სიტყვები წარმოითქვა ვანსაკუთრებული მისიონერის დანიშნის შესახებ საქსარ. ხოსოში.

დღე. დღე. ა. იონიცი. საზოგადო. ეპარქიის მისიონერის დანიშნის წინააღმდეგ მე არაფერი არა მაქვს სათქმელი და კიდევ მეცა, რომ მისიონერი, ვინც უნდა იყოს იგი, ცოტას თუ ბევრს სარგებლობას მოიტანს. მაგრამ არ შემძლია არა ესთქვა, რომ იმდენი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია საზოგადო მისიონერს, რამდენსაც შეიძლება თვით მრკლის მღვდელი, თუ მის სამრევლოში სცხოვრობენ მწვალებლები. რასაკვირველია, ამისთანა სარგებლოებში უნდა იყვნენ მღვდელი, რომელნიც თავის წმიდა ცხოვრებით უქადაგებდნენ მრევლთა და არა მარტო სიტყვით. მწვალებლები მტის-მეტ ყურადღებას აქცევენ მღვდელთა საქციელს და მთ ყოფაქცევას. თუ მღვდელი კეთილი ყოფაქცევისა არის, თუ მოძღვარი გამჭირავნ გონების კაცია, ადვილად შეუძლია მიაწიოს მწვალებლები იმისთანა წიგნაკების კითხვას, რომელიც, წიგნაკები, შეგარყვენ მთ ფანატურ სწავლას. ძლიერ საჭიროა და სასარგებლო არის, რომ მღვდელი დაუახლოვდეს მწვალებლებს. პირველ შემთხვევაში სრუ-



ლებით არ უნდა ჩამოაგდოს სასუბარი მათი რწმენის შესახებ, ისე უნდა დაიხლოვოდნენ ისინი ცხოვრებაში და შემდეგ შეუძლიათ დაუწყონ მათ ბაისი სარწმუნოების შესახებაც. ამნაირი შემთხვევა მქონდა მე ჩემს სამართლებრივ კარდესს, რომელიც კარგად დაუახლოვდა ზოგიერთ მწველებლებს, ბოლოს დაუწყა სარწმუნოების და ეკლესიის შესახებ ბაისი. დაუმტკიცე ჩვენი ეკლესიის წესების და მახურების უპირატესობა და ქრისტიანობა, ბოლოს აუწყა, თუ რამდენად შემცდარნი არიან იგინი თავიანთ რწმენასა და მოქმედებაში, აი რა მითხრა ბოლოს არა ერთმა, არამედ ორმა-სამმა და მეტამაც: «ვიცი, მამაო, ვიცი, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წესები და მღვდელმოქმედება უმჯობესია ჩვენს წესებზე და მოქმედებზე, საჭირო არ არის მზავნად ბევრი ლაპარაკი, მაგრამ არ შეგვიძლია იმ ეკლესიაში შევიდეთ და წირვა მოვისმინოთ, სადაც ღვთის შუამდგომლობით მრევლს ჰყავს» №. ამ სიტყვის შემდეგ ამოიღო ერთი გრძელი ქაღალდი და შიშველი წასაკითხავად, წავიკითხე და გაეცვირდი. როგორ აღვწეს თვალი იმ კაცის მოქმედებას და ცხოვრებას, რომელიც ამ ქაღალდში იყო მოხსენებული? რამდენიმე საულისხმო სიტყვის შემდეგ მ. ოქნიკიამ სთქვა: კიდევ განვიმეორებ, მრავალი შეუძლია მრევლის მღვდლის მწველებლების მოქცევის საქმის შესახებ, თუ იგი აღკურვლია კეთილი თვისებებით და ჩემის მხრით ეიტყვი, რომ საზოგადო მისიონერების დანიშნვის მაგერ საუჯობესია თვით. მრევლის მღვდლებს დაევალოს მისიონერების მოვალეობაც და ნამეტანი შემწეობაც აღმოუჩინდეს ბათ შესაფერის წიგნაკების მიცემით და სხვებზე. საზოგადო მისიონერს არ შეუძლია ერთი-ორი მისვლა და ქადაგებით მისაღონი ნილი სარგებლობა მოუტანოს ხალხს და მწველებლები მოაქციოს. მ. ა. ოქნიკიამ ბევრი რამისეთი გამოსთქვა, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ სარგებლობას ვერ მოიტანენ საზოგადო მისიონერები...

დამ. ბადა. დ. ხაზუტაია. ჩემს დიქტოთ როდესაც ჩვენ წინადადებას გავძლევდნ მისიონერის შესახებ და საჭირო ფულების გამოანხვის შესახებ, ახლამი ჰყავსთ არა მარტო მწველებლები, არამედ ადგილობრივი სხვა აღსარების ხალხიც, რომელნიც საქართველოში და მის გარემოში ბოლომდე სცხოვრებენ. თუ მისიონერული საქმე ჩვენში კარგად არ მიდის, ამის მიზეზი

მრევლის მღვდლების მოუმზადებლობას არ უნდა მივაწეროთ. მე ისეთი შემთხვევები შემიხვედა, რომელთაც ნამდვილად დამარწმუნა, რომ მისიონერული საქმე ჩვენში სულ სხვა რიგად არის მოწყობილი და მღვდელთა-მისიონერის ცერაფერს ვერ იზამს, სანამ თავიდან არ მოიპოვონ დამარწმუნებელი მიზეზები. ჩემთან მოიქცა ერთი პირი მართლმადიდებელი სარწმუნოების მისაღებად. ვასწავლე მას ჩვენი სარწმუნოების დოგმატები, მოვაჩვენე და მოვანათლეთ ის იყო სრული წილავანი. დედამამ თავი გამოიღვა და რაბი არ მოუგონეს თავის ვაქრისტიანებულ შვილს. ისე მოხდა საქმე, რომ ეს მონათლული დაიპირეს და დააპატარეს. ბოლოს, ჩემდა გასაკვირვლად, ახლად მონათლულთან მისი დედამამ შეუშვეს სანახავად სახატიშროში, დედამამს, როგორც მე შეეიტყე, ისეც კეთათ საწყლისათვის, რომ სიკვდილზე მიყენებით. განა ეს შეიძლება მოეცეკეთ ახლად მონათლულს? განა რიგი იყო ამ პირის დატუსაღება? ყველაზედ საჭიროა, რომ ბოლიცა და სხვა მეუფროსენი ხელს გვიწყობდნ მღვდლებს და მფარველობას უჩვენდნ ახლად მონათლულს. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი სარგებლობა მოიტანა არ შეუძლია განსაკუთრებულ მისიონერს, რომელიც დროებითად ვაივლის სადმე საქადაგებლად და ადგილობრივ ხალხის წინაგულელების და მიმართულეის კი არა ეცოდინება რა.

ბადა. მ. გამრეკლოვა. მე სრულიად ვეთანხმები მ. ხაზუტაიას აზრს შესახებ ბოლიციას მოქმედებისა და მათი დახმარებისა. ჩვენს კუთხეშიაც დაღესტნისკენ სწორეთ ამისთანავე მიზნებით გველობება წინ მისიონერობის ასპარეზზე. რომელიმე ინგილი მოიღებს ქრისტიანობას, მაგრამ ვაი მისი ბრალი! ენ არის მისი მფარველი? მისი წინააღმდეგ მონათესავენი და მჭობუნნი მოსისხლე მტრებით უჭებიან მას და, რითაც შეუძლიათ, სდვენან. ქრისტიანების მხრით არავითარი მფარველობა არა სჩანს მათთვის და ხშირად ხდება, რომ ახლად მონათლული სამუდამოდ იღუბება. თუ ჩვენმა მთავრობამ რამე საშუალება არ აღმოუჩინა ახლად მონათლულს, ძლიერ საეჭვოა, რომ მისიონერმა რამე სარგებლობა მოიტანოს.

ბეგერი საგულისხმო რამ წარმოსთქვეს მმ. ხაზუტაიას და გამრეკლოვას, რომელნიც მახურებენ კავკასიაში დაარსებულ ქრისტიანობის აღმადგენ-

ბელი საზოგადოების ხარჯით და ითვლებიან სამრე-
ლოებში მისიონერებად, მაგრამ, საშუაზაროდ, ყველა
მათ ნათქვამს ჩვენ ვერ ვებუქდაეთ...

დგ. დ. ღამ—შე. მრავალნი ამტიციებენ, რომ
მაღალი სწავლის მიღებნი თუ მისიონერებად დაი-
ნიშნენ, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, მწვალეგელ-
თაც და სხვა სარწმუნოების აღმსარებელთაც მოაქ-
ცივენ ჩვენს სარწმუნოებაზე, მაგრამ მე ცოტა საეკ-
ვილ მიმანია ეს მათი დაპირება. ყველა მისიონერების
სჯობია დეკანოზი მ. კრუჩკოვი, რომელსაც არც
ერთ სემინარიაში და აკადემიაში არ უსწავლია. ის
თითონ წინეთ იყო მწვალეგელი, მაგრამ ბოლოს
გადმოვიდა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე, შე-
ისწავლა ჩვენი დოღმატები კარგად და სადაც დაიწ-
ყო მწვალეგელობა ბაზაობა, ვერაგინ მას სიტყვის
გაცემა ვერ გაუბედა და ბევრგან მწვალეგელები და-
ყენა ქეშმარიტ გზაზედ...

ჩვენში, ბათუმის მხარესკენ ერთი მისიონერია
დანიშნული, რომელსაც წელიწადში 1500 მანეთამდე
ცდილება. ოთხი წლის განმავლობაში მან მარტო
ერთი აქარელი კაცო მოაქცია ჩვენს სარწმუნოებაზე!
«ივერია»-ში ეციხსულობოთ, რომ ერთმა მოვამ სუთ
ქართველს მიაღებინა მამამდის სჯულიო. წარმოადგი-
ნეთ, რომ ამ მოვამს არა თუ 1500 მანეთი, ვგონებ,
მიფრობისაგან კანეკიც არ ეძლევა! რა უნდა ჰქმნას
მისიონერმა იქ, სადაც ხალხის ენა არ იცის?! რამდენი
ხანია მისიონერები მსახურებენ აფხაზეთში, მაგრამ
არ იქნა ერთი მტუხა ხალხის—აფხაზების მორჯულება.
1848 წლიდან იქნებარქია და სასლდელოება არსებობს
და ჰქადებენ, მაგრამ სასურველი ნაყოფი არა სჩანს
მიანც. რისთვის? მისთვის, რომ მისიონერებს ხალხის
ენა არ ესმისთ და ხალხს მისიონერების ენა. რაც
ფული დახარჯულა მისიონერებზედ, იმის ნახევარი
რომ დადებხარჯა ამ აფხაზების შეილების გამოსაზრ-
დელად, დღეს სასენ იქნება აფხაზეთი და დაღესტნის
კუთხე მკვიდრ მცხოვრებელ მღვდელთაგან, რომ
მელნიც მშვენიერ სამსახურს ვაუწევენ თავიანთ
თემს. ქრისტიანობა ოსეთის მხარეში მტკიცედ მყარ-
დება იმის წყალობით, რომ იქაურ სამღვდლო პირთა
შორის ნაშენწავად მკვიდრთაგანნი არიან მღვდლებად
რა გვიშლის, რომ ასე არ ვიქციეთ აქარელებისა—
აფხაზების და ინგილოების შესახებაც?

ამასთან არ შეკვიძლია არა ესთქეთ ისიც, რომ,
ვგონებ, მწვალეგელთა რიცხვი ჩვენს საქართველოში

მეტის-მეტად გაზვიადებულია. მაგალითებრ ესლან-
დელ მიღებულ სინოდის უქაზებდამ სჩანს, ვითომ
შორაანის მახრაში სამას მწვალეგელამდე იყოს. ეს
ამბავი სრულით ტყუილია. მე დარწმუნებთ ვიცი,
რომ არც ერთი მწვალეგელი შორაანის მახრაში არ
არის. ქუთაისში არის რამდენიმე «სკოპცები» და
სხვაგან ქუთაისის მახრაში არსად არ არიან დამკვი-
დრებულნი მწვალეგელნი.

ყოველს შემთხვევაში ძლიერ კარგი იქნება,
რომ თფილისში დაარსდებოდეს კამ-ტეტი, რომელ-
საც დაევალებოდეს თფილსურის დენა მწვალეგელთა
საქმის მსვლელობისა და დახმარების აღმოჩენა მრე-
ლის მღვდელთადმი მისიონერულ საქმეში.

შემდეგ ყოველის მხრით გამოკვლევისა სასლ-
დელოების კრებამ უხარი განაცხადა საშუალების
უმეტარებლობისაგამო ენარქიის საზოგადო მისიონე-
რის დანიშნაზე. მრეელოს მღვდელთ დადალა,
შეძლებისა და გვარად, აღსრულება სამრეელოებში
მისიონერთა მოვალეობისაცა.



«მშაქმისი»-ს კორამსონდენიცი

გო რ ა. ამ გიორგობისთვის 21-ს ქ. გორ-
ში აკურთხეს წმიდა მოციქულთა სწორის,
ქართველთ განმანათლებელის ნინოს სა-
ხელობაზე ეკკლესია ამიერ კავკასიის საოლტატო
სემინარიისა. აქამომდე მოხსენებულ სასწავ-
ლებელს არა ჰქონდა თავისი საკუთარი ეკკლესია,
რის გამოც მისი შეგირდები დადიოდნენ წირვა-
ლოცვაზე აქაურ საკრებულთა ტაძარში. მაგრამ
ამ ბოლოს დროს და მომეტებულად სახელმწი-
ფო დღესასწაულებში, როდესაც ჯარით აივსე-
ბოდა ხოლომე მთელი ტაძარი, მოსწავლენი
მეტის-მეტად ვიწროვდებოდნენ, თავისუფლად
დგომისა და სუნთქვის სახსარი ესპობოდათ;
ამიტომ შეგირდებმა იწყეს სიარული ოქონის
დვთის-მშობლის ეკკლესიაში. მაგრამ ეს ეკკლეს-
სია, ჯერ ერთი რომ, კარგა მომორებით არის
სასწავლებელზე, რის გამოც ავდრიან დღებში




უმაწვილებს უჭირდათ სიარული, ცვიდებოდნენ და ხშირად ავთაც ხდებოდნენ; და მეორეც ისა, რომ ოქონის ტაძარი შატარა და უქმე ბედნიერ დღეებში თავის საკუთარ მრევლსაც ვერ იტყვს ხოლმე. მოსწავლენი აქაც შევიწროებულნი იყვნენ. გარდა ყოველივე ამისა ამ მოსწავლეთათვის, როგორათაც მიმავალ სოფლის სკოლების ისტატიებისთვის, საჭირო იყო ცოდნა, როგორათაც საეკლესიო წიგნების კითხვისა, აგრეთვე გალობისა და სამჯვთო მსახურების რიგისა, რადა თქმა უნდა, რომ ამ ცოდნასაც ისე ვერსად ვერ შეიძენდნენ, როგორათაც საკუთარს ეკლესიაში, სადაც ყოველ სამჯვთო მსახურების აღსრულებაში იგინიც მიიღებენ პირდაპირ მონაწილეობას.

ამ მიზეზთა გამო მოხსენებულმა სასწავლებლის მთავრობამ ჯერ ისევ მარშან წინ იწყობდნენ და ფიქრი ამ საგანზედ და როდესაც მის შესახებ უოველივე გამიარკვია, მაშინდელ ექსარხოლს, ყოვლად უსამღვეფლოეს პალატის განუცხადა თავისი სურვილი. მდვეფელ-მთავრობამ განსაზღვრა ფოცვა-კურთხევით ნება დასცა. ამის შემდეგ მთავრობა ამიერ კავკასიის საისტატო-ტო სემინარიისა მხნედ შეუდგა ნებადართული საქმის განხორციელებას... და აი ზემოთ მოხსენებულ დღეს კადეც აკურთხეს ახალი ეკლესია. კურთხევაზედ ბოლომთ დაესწრო აქაური მაღალი საზოგადოება. კურთხევის შემდეგ სემინარიის საღვთო სჯულის მასწავლებელმა მდვეფელმა მ. ლაზ. ტურიევამ წარმოასთქვა დროს შესაფერი სიტყვა. პირველად შატოცყ-მულმა მომდგარმა განმარტა ის მაღალი მნიშვნელობა, რომელიც ძველნი დროდგანვე მოუპოვებია საზოგადოთ ტაძარსა და განსაკუთრებით ქრისტიანულს ტაძარსა. შემდეგ გრძობით სავსე სიტყვებით მოკლედ მოუთხრო ცხოვრება და მოდგაწეობა მოციქულთა სწორის ქართველთ განმანათლებელისა და ბოლოს შევედრა მას ადამაშენებელნი ტაძრისა, მასწავლებელნი და მოსწავლენი სასწავლებლისა და ყოველი ქრისტიანენი, რომელნიც იმ დღეს ისმენდნენ ამ ეტყლისაში დვთისადმი აფველინი ფოცვა-ვედრებასა. ქადაგებას მოჰყვა წირვა, რომლის დასასრულ იქ დაამსწრე საზოგადოება

სასწავლებლისაგან გამართულ სადილზე იქმნა მიწვეული.

შეგნებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა მეტის-მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ ეკლესიის კურთხევითა. ამიერიდან ჩვენ გვექმნება ეკლესია მთელი საქართველოს ძვირფასი დედის სახელობაზე. საკვირველია, რომ მოჰქცევა ქართველი ერი ასე გულგრილად თავის დიდებულს განმანათლებელს? წმ. გიორგის ეკლესიებით მოფენილია ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, წმ. ნინოს ეკლესიებს კი ათასში ერთს ძლივს შეხვდება ადამიანი. მაგრამ არც კია გასაგვირველი! მუდამ ბრძოლის ველზე მდგომარე შეიარაღებული ვნს თავისივე შესაფერი ზეციური მფარველი და წინამძღვარი ეწირვებოდა. წმიდა მთავარ-მოწამე გიორგის ხატი ბრწყინვალე სურათის თვით მრავალ ტანჯულ-წამებულს საქართველოს თავგანწირული ბრძოლისა. ესეც თავის ხანგრძლივ არსებობის ქაშს არა ერთ ვემ-შს შებრძოლებია!. ამასაც არა ერთხელ უფერია თავისი წმინდა სისხლი იმვე მაცხოვრისათვის, რომელსაც შესწირა თავისი გმირული სიცოცხლე მთელი ქართველი ერის საყვარელმა წმიდანმა! ამიტომ ცხენზე მჯდომარე, შუბ მოდერებული გმირი, ეჭვი არ უნდა, უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენს მამა-პაპაზე, ვიდრე მშვიდობისა და სათნოების მქადაგებელი წმიდა დედა-კაცი!. დღეს ჩვენი ცხოვრების ჩარხი სრულზე სხვაგვარ მდგომარეობაშია: გარეგან მტერთა ძალმომრეობამ ბრძოლის ველიდამ გადმოგვრეგა და, თოფ-იარაღის მაკვირვად, თითის ტარი მოგვცა ხელშია!. ამ ქვეყნიერი სიბრძნე თსოვლობას, რომ გონიერულად ვისარტყდით ყოველი გარემოებით-მშვიდად ვატრიალოთ ეს თითის ტარი და ნელ-ნელა ვახვიოთ მასზე მომავალი ბედობალი ჩვენის ქვეყნისა.. იქნება, დემოთმან ინებოს და ეს ნართიც ძვირფასად გამოადგეს ჩვენს შვილიშვილებსა.

არმოელი.



თვით-განვითარება მასწავლებლისა.

საზოგადოებრივი უკვლესობის და კერძოდ მასწავლებლებსათვის თვით-განვითარება შეადგენს პირველს და უსაჭიროესს მოთხოვნადებს, რადგან მასწავლებლები, თუ თვითონ არ სწავლობს, ისე მას რიგაწახთ არ შეუძლია ასწავლოს სხვას, რიგაწახთ არ არის ის მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ იმ სულიერი საზრდოთი გამოუფიქრდება, რომელიც მან შეიძინა სასწავლებელში და ცხოვრებაში კი აღარ ცდილობს, რომ აღამადლოს თავისი გონება და ახალი მის წინაშე გონებითი წარმატებისას, რომელიც შეუძლებელია ის იდგა თავის მოვალეობის დასაწყისში.

მასწავლებლისათვის თვით-განვითარება, სხვათა შორის, აი რისთვის არის საჭირო: თვით განვითარებისადმი მიმდევარ მასწავლებელს უკველთვის შეუძლია, რომ ნაყოფიერი გავლენა იქონიოს მასწავლებლებზე; ვისაც მასწავლეობა გამოუცდია, იმას კარგად უცოდინება, თუ რა სათრი, სიუვარული და მორიდება აქვსთ მოხწავლეებს იმ მასწავლებლისა, რომელიც ცნობის მოუკარგა და მიმდევარი თვით-განვითარებისა; პირველ-დაწყებით სკოლებშიდაც, როგორც გამოცდილებამ დაამარწმუნა, მასწავლელთა შორის ბევრნია ისეთები, რომელნიც, ცნობის მოუკარვობის გამო, მასწავლებლებს თავისუფალ დროს და ხანდისხან გაკვეთილების დროსაც, აძლევენ სხვა და სხვა კითხვებს, რომლებიც დროსნი არიან ურთხედებისა და მასწავლებლის მხრით თხოვენ გონიერს და დაბიური ენით განმარტებულს ვასუსს. ამისთანა შემთხვევაში ადგილი მოსალოდნელია, რომ მასწავლებელმა უტყუარი ვასუსის მიცემა ვერ შესძლოს, თუ თავის მოვალეობას მუყათად არ ჰკვიდა და ბავშვის მოტყუება ზომ დიდი ცოდავა და სირცხვილი და მასთან ისიც უნდა ვითქროთ, რომ ტყუილს მოკლე ფენი აქვს. ვსთქვათ, მასწავლებელმა მოატყუა მოსწავლე, მას სინდისი შეაწუხებს, მინაგანათ დაიტანჯება იგი და ეს ტანჯვა-წავლება აშკარად გამოიხატება მასწავლებლის პირის სახეზე, ვინაიდავან, როგორც იტ-

ყვან, პირის სახე საჩკვა სულისაო და შენივე ცოტათი გონება ვახსნილი მოწაფე მამინვე შეგატყობს ამ სიცრუეს. ერთი-ორი ამისთანა შემთხვევის განმეორების შემდგომ მასწავლებლის ავტორიტეტი, ნდობა და გავლენა იკარგება მოწაფეთა თვალში. ამიტომაც არის სათქვამი გამოცდილი შედაგობებისაგან, რომ ვინც თვითონ არის გაჩერებული ერთს ადგილზე, მისთვის ძნელია, რომ სხვა წასწიოს წინ, და ვინც თვითონ არ ვრძნობს სიუვარულს თვით-განვითარებისადმი, მას არასადეს არ შეუძლია ადძრას სხვაში ეს თვისება, ვისაც დახმული აქვს ღლთოღვა თვით-განვითარებისადმი, მას არ შეუძლია ადლორძინას და აღამადლოს სხვისი გონება და იქონიოს მასზედ შესაფერი გავლენა.

მასწავლებელი, თანახმად მასწავლებლის მცნებისა, უნდა ცდილობდეს, რომ იგი იყოს კარგი, პატიოხანი, სინდისიერი, ღვთის მოშიში, მტკიცეთ იდგეს საწმუნებობაზედ და როგორც პირი, რომელსაც თავისი თავი შეუწირავს ბავშვების აღზრდა-სწავლებისათვის, უნდა ცდილობდეს, რომ სწავლის საქმეში გააუმჯობესოს თავისი თავი, აიცილოს ის ნაკლი, რომელიც მას ეწოთრება, თავის მოძმებს არ ჩამორჩეს უკან და ცხოვრების ტალღებს მარდათ გაჰყვეს წინ. უგეამ იყოს, რომ მასწავლებლის თანამდებობა არის ცოცხალი სელობა, ეს სელობა თითქმის დღითი დღე ფერს იცვლის და წარმატებაში შედის, ამ სელობის ერთ კალაპოტში ჩაყენება არ შეიძლება და, თუ კაცი ამ სელობას კვადში არ მისდევს და გამჭრიახი გონებით არ ზომს, ისე უსათუოდ ვზას ასცდება, რის გამო ვედარც ახალს ცოდნას შეიძენს და ძველსაც დაივიწყებს, ვინაიდავან ცხადია, რომ ცოდნა ცოდნით შეიძინება და მოიპოვება; თუ ძველ ცოდნას ახალი არ ემატება, ის მაშინ თავის სიახდეს და მიწოდველობას ჰკარავს და ამნაირად საჭერჭდე ცოდნისა თანდათან იკლებს და ბოლოს სრულიად გამოცალიერდება, მასწავლებელი ხდობს უღირსი მონა თავის ღირსებისა. ფსინოლოგიური კანონია, რომ, რაც შეიძლება, ემაწოდის ბავშვობისას უნდა აწვენო უკველთვის კარგი მავალითები ცხოვრებისა, რომ ბავშვის ნორჩ წარმოდგენაზედ ცუდი გავლენა და შთახტედი-



ლებს ან იქონიოს რაიმე ცუდმა მაგალითმა. ამ ბუნებითი განონის წინააღმდეგენიც არიან ის მასწავლებლები, რომლებიც მაგალითებით არ უმტყიცებენ მასწავლებლებს თვით-განვითარებას, რათა ივინი (მასწავლებლები) პატარაობიდანვე შეერვიონ სხვა და სხვა სასარგებლო წიგნაკების კითხვას. რომ ჩვენ მასწავლებელთა შორის სურვილი იქონს თვით-განვითარებისა, მაშინ, დაწმუნებული ვართ, არც ასე ცუდი სკოლები გვექმნებოდა და არც ამისთანა ცუდი ნივთიერ მდგომარეობაში ვიქნებოთ თვით მასწავლებლები (ზოგიერთნი, განსაკუთრებით სამინისტროს სკოლების მასწავლებლები, მაგალ. ს-ის სასოფლო სკოლის მასწავლებელი ნივთიერი გამდიდრებისათვის თვით-განვითარებას არავითარ ფასს არ აძლევენ, პირიქით უოვედ დონის-ძიებას ხმარობენ, რომ თავიანთ სკოლებში მესანკურათ რუსული ენა აზეპირებიონ, პირველ განყოფილებაშივე აძახონ „Богъ сотворилъ“ და ამით დაიმსახურონ უმეტროსების ყურადღება და ამ შიშკულეებმა კი დიდ ჯამაგირიანი ადგილები მიიღონ). მე ნამდვილი დევიცი, რომ მასწავლებლები თავისუფალი დროადგან ერთ საათსაც არ სწირავენ თვით განვითარებას, ზოგიერთებს მეთადიური წიგნების წაკითხვაც კი ეზარებათ, რის გამო ბევრმა მათგანმა არც კი იცის, როგორ ასწავლონ ბავშვებს ანბანი და ან როგორ ისარგებლონ ჩვენი სკოლებისთვის შედგენილი სახელმძღვანელოებით. საზოგადოთ ჩვენი სპეციალური მასწავლებლები ვერ გვაძლევენ რიგიანათ მომზადებულ მასწავლებლებს და მათ მაინც თუ თვით-განვითარებას ორივე ხელები მარჯვით არ ჩაჰკიდეს, შენი მტერი, ჩვენს პატარა ბავშვებს ბედი დაადგებათ: ისინი, ნაცვლად გონიერი ადზრდისა, იძულებულნი იქნებიან დაემორჩილონ ძველებურ სხალასტიკურ ადზრდა-სწავლებებს ძველებურივე მეთოდით.

შთავარ-დიაგონი მ. ბუ-ძე.

დ ი ა წ ე რ ი ლ ი .

ვის მიემართო ამ ბარათით? ვინ დაუღდებს ყურს ამისთანა ბარათებს, თუ არა შენ, ჩემო ერთგულო მედღითონვე! ვის რათ უნდა ამისთანა ბარათების შინაარსი? ისინი, რომელნიც ღიღ და სკანებზედ სჯიან, მაღალი აზრებით და მაღალი სწავლით აღჭურვილან, ამისთანა ბარათების სათაურს რომ დახედვენ, ცხვირს მაღლა ასწევენ და არც კი წაიკითხვენ, რომ სიმდაბლის (უეცილობის) სუნი არ გვეცეს! ისინი ხომ დაბლა არ იხედებიან! სულ მაღლააქვთ მიმართული გონება, მაოი მაღალ აზროვანი ტუინის ქუჩებენი! მუდამ მნათობთა თავდადასავლის ვითარებაში არიან გართულნი, სულ მაღალ საგნებზედ ფიქრობენ და საბრალო ქვეყანა მათ მაღალ აზროვან ფიქრებში შეუშინვეელი რჩება. ჩვენ უეცნი რას ვიტყვით ისეთს, რომ მათ თავისი მაღლა მფრინავი აზროვანები ჩვენზედ მოაქციონ! მე არ მჯონია, ჩემო ერთგულო, ისეთი რამ გავჭირება დაადგეს ჩვენისთანა ბიჭბუჭებს, ისეთი რამ საქვეყნო შემძრწუნებელი რამე დატრიალდეს, რომ ისინი თავიანთ თბილ ოთახებს მაშორდნენ და ძმური ხელი მისცენ სანუეკოლ და ვასამწეებლად უეციტა, რომელნიც მათ შეტყუებენ—ვითარცა წინამძღვარსა ცხოვრებისა მათისასა!

იქნება შენ იფიქრო: განა არ შეუძლიათ მათ, თავის ტახტიდამ რომ არ ჩამოაბრძანდნენ, ისედაც გვეცნნუევიო?—კარგი და პატიოსანი, ჩემო კეთილო, მაგრამ აკი ვითხარი, ხადა სცალიანთ მათქ! სულ აღმატების წყურვილის მოარეში ყურყუმალაობენ. იმათ თავის «მე»-ს ერთგობობისათვის შეუყუციანთ და აღთქმა მიუთქათ, რომ არ უღლატონ მათ მუდამ საგონებელს «მე»-ს და სიტყვა «ჩვენ» მათ თავის «მე»-ს აღსამატებლად უმსხვერპლებოათ! სიტყვა «ჩვენ», რომლისათვის ყოველი პატიოიანი და ერთგული მამულის-შეილი ყოველი ქვეყნის კუთხისა დაულაღად იღწის, რომ წინ წასწიოს, სიბნელეს მათ შორის და დაყენოს სანეტარო წერტილზედ, ამათ უარუყვიათ და, როგორც ზემოთ ვითხარი, თავიანთ «მე»-ს აღსაფუფუნებლად, ფხვი დაუჭირებით! ეს კია ლეთის წინაშე, რომ, თუ რამე საერთო საქმეა და ამ საქმეს საწარმოებლად მოთავე ეჭირება, ანსა არ დაზარებენ! თავათაც დაუბატობლად მისწრაფიან,

რადგან აქედამ ვ. ი. საზოგადო საქმის მეთაობი-
საგან, ხომ მოგეხსენებათ, წინ მსვლელობის კიბე-
ზედ დგამენ ფეხს და თავიანთ მიზანს უფრო უახ-
ლოვდებიან!—თორემ ენერგიულად საქვეყნო საქმის
წყაყენისათვის დიდად არ სწუხდებიან. ან რისთვის
შეიწყობნენ თავი? ვინც საქვეყნო საქმისათვის თავდა-
დებულნი იყვნენ, ხომ იცო, რა შეგმობათ? მაგრამ
აი რას ამბობს ჩვენი პოეტო:

ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვლარი,
მას მოიგონებს შთამომავლობა,
და ამას ამბობს ეს ჩემი ქანაძე:
ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არა!

ის არის მამა მხოლოდ ის, ძეაო, თორემ:

არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი მკვლარსა ემსახურას,
იყოს სოფელში და სოფელსა კი არა რა არგას.

და მეც ჩემით მიუმატებ: რა კაცია ის კაცი,
რომელიც მართო პირადი ინტერესებისათვის იღეწის,
დღე და დამ აღმატების წყურვილი ვერ მოუტლავს
და საერთო ოჯახის გასამაგრებლად კი ერთ კენჭსაც
არ გაისერის?! ამისთანა ევატატონებს, შემიძლია,
თამამად უპასუხო ჩვენი საყვარელი პოეტის გულ-
საგმირი (მათდამი) სიტყვები:

ჩამოდგეთ! შოანს, შოანს ჩვენგან,
აგვიდა თქვენზედ ზედა,
შევიტყუთ, რომ იუღა ხართ.
ნამდვილ ისკანიაოტელი!
თქვენი შიკეთ-მოკეთობა
გედარ გასჭრის, თქმა არ უნდა,
წაღმა წაყვალთ. თუ უგუღმა,
მანც ვიტყთ, საწით იუღა!

უფრო სამწუხარო ისაა, რომ თითო-ორჯოდა ერთ-
გული მოღვაწე, თავისი ქვეყნისა, მათ მიერ დევნი-
ლნი არიან. მათი ბოროტი გნით ფრთას სტყნენ
ქვეყანაში მათ მოღვაწეობას. თითქოს ესენი სასიკცხო
საქმეს ჩაიდოდენ, ისე ეჩხირებთ თვალში იმ ევა-
ტატონებს—ამით მოქმედებს! იმათ აზრიდამ მიხე-
დები, რომ, თითქოს, ამათი მოღვაწეობა თამაშობა
იყვეს, ან მეტორობა, ანდა წყლის ნაყეა, ერთმა
ჩემმა ძეგლმა ნაამხანაგარმა, რომელმაც გამაბედნიე-
რა მისი მადლიდამ გადმოხედით და ცნობით (არ

გაცივრს, ხელიც მომცა!) სხვათა შორის, მითხრა:
«ქამ-დავითნი და ლოცენი შენ ვხლა ზეპირათ გე-
ცოდინებო! ჰო, მართლა, ვხლა თქვენ განათლებუ-
ლები ხართ, „სათქვენო“ ვაზეთი მოგდისთ!» მე მიე-
ხედი, რომელ ვაზეთზედ მეუხებოდა და მოვხსენე:
თუ ის ერთად ერთი, როგორც თქვენ ბრძანებთ,
«საქვენო» ვაზეთი არ ვარა, «სათქვენო» როგორიღა
ვახლავსთ? არც ჩვენ მეყვენ-დავითნ-ლოცენელნი
ერთ ისრე ყრუნი, რომ თეთრი შაისაგან ვერ გა-
ვარჩიოთ!..

ბერი რამ მინდოდა მეთქვა ამ პირის შესახებ,
მაგრამ, სამწუხაროდ, კალამი ნებას არ მაძლევს.

შენი ერთგული თანამოძე.

ნასუნი ილია სიმონის მეს ჩხეიბეს.

შემდგომ ოთხის წლის ჩემის ს. ხორითში მსა-
ხურებისა, თანახმად ჩემის თხოვნისა, 1879 წელში
მე გარდმოყვანილ ვიქმენ კოცლად სამღვდლოს
ეპისკოპოსის ვაბრიელის მიერ ს. ოზაში, იმ ეკლეს-
სიაზედ, სადაც მზეველად ირიცხებოდა ილია სიმ.
ჩხეიძე. ჩემდამო რწმუნებული ეკლესია იყო იმ
ზომამდე უფარვისი, რომ სწორეთ ურავო იყო მასში
ღეთის-მსახურების შესრულება. მისი მეუფება, იმერე-
თის ეპისკოპოსი ვაბრიელი, დღიდა იმერეთში მო-
ბრძანებისა, ურჩედა ამ მრევლს ახალი ეკლესიის
აღშენებას. ექვსი მღვდელი გარდაიცვალა ამ ეკლეს-
სიაზე და ახალი ტაძრის აღშენება არ მოხერხდა ზო-
გიერთი პირების წყალობით. 1880 წელში დაკეტს
ეს ტაძარი და მოსპო მასში ღეთის-მსახურება. ამ
წელში ეკლესიაზე მობრძანდა მისი მეუფება იმერე-
თის ეპისკოპოსი ვაბრიელი, სადაც ხალხი შეკრებილი
დახდა. მისმა მეუფებამ გამოუტყადა ხალხს, რომ
მათ უსათუოდ ახალი ეკლესია აშენებიათ. თუმც
ეკლესიის შეკეთების ნება გვექონდა მოცემული მისი
მეუფებისაგან, მაგრამ მე მანც ემეცადინობდი
ახალი ეკლესიის აღშენებას და, მადლობა ღმერთს,
ეს საქმე აღსრულდა ჩემს ხელში და ეკლესია აღ-
შენდა. 1884 წელში გარდაიცვალა ჩემი ნათლის
მამა გ. ს. მაცაბერიძე, და რადგან დამარხდელი



არაინ ჰყავდა, კეთილის მყოფლობა მე-გაუწიე, 13 მან. დაეხარჯე, და ყოველგვარი მღვდელ-მოქმედება უსასყიდლოდ აღუსრულე, და ნაცვლად მისა, რომ ვთქვა ილია ჩხეიძეს, მღვდელმა კიკვიძემ კეთილი საქმე ქნაო, გაწეითი დაბეჭდა: მღვდელმა კიკვიძემ გლეხის საბა მცაბერძიე არ აზიარა, რადგან ვადამ-დები სწეულება სჭირდაო, გარდაიცვალა, და წეს-აუგებელი მიწაში ავლიაო. ამის მცნობელმა ყურად-ღება მიაქცია ამ ცნობას. გამოძიება დანიშნა და აი-ხსნა მრევლისაგან სიყალბე ი. ჩხეიძის დაბეჭდილი წერილისა. სამის წლის წინათ ამავე ჩხეიძემ თავისი ორის წლის ავითმოყოფი ვაჟის ზიარება მოხოვა. ავით-მყოფი არ ვაზიარე, ვინაილგან მისთვის საქირო არ იყო ზიარება. მაშინ ხომ განმირისხდა ბ. ჩხეიძე და ამ დღიდგან ყოველთვის ეძიებს ჩემში რაიმე საწინა-აღმდეგოს. «მწიქსია»-ს მე-18 №-ში სწერს ბ. ჩხეიძე: ყოველს სოფლებში, სოფლის მოხელეები და მღვდლები არიან თავიანთი მოვალეობის ჯეროვნად აღმსრუ-ლებელნი, და ს. ობნაში არც სოფლის მოხელეები და არც მღვდლები არ ვარგანო. ბ. ჩხეიძე წყნის იელისის დამლევს რიცხვებში: «გლეხს წყალმანკით ცოლი გარდაეცვალა, მღვდლის თანხმობით მიცვა-ლებული ერთ დღე-ღამეს ეკვლესიაში დასვენეს; მიცვალეზულის გემი დაიხსნა და წყლათ იქცა, ეკ-კლესია ააყროლა, მასში ევლარაინ შედის, და ვინც შევიდა პირღებინება აუტყდაო». დედა-კაცი მშობია-რობით ავად გახდა, შეიდი დღის შემდგომ მკვდარი ბავშვი დაებადა, დღი მყადინეობით მყოფზე დღეზე მომყოლისაგანაც გათავისუფლდა. ერთი კერის ავით-მყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, მესამე დღეს სალა-მოზე გაეხაენეთ, ეკვლესიაში წესი აუგეთ და რად-გან ხის ქეეშ საფლავის გაჭრა დაიწყეს, დაბრკოლება ნახეს და ვერ მოასწრეს საფლავის გაჭრა, მერვე დღეს დღით დაეხაფლავეთ. ბ. ი. ჩხეიძე ბრძანებს: «მარიობის მარხვაში მასზიარებლები ცუდის სუნის მიწეზით ეკვლესიის გალავანში იყენეო». როდის ბრძანდებოდა ეკვლესიაზე იმ მარხვაში ბ. კორაეს-პონდენტი, რომ მასზიარებლები გარეთ ნახა? «ნ ავის-ტოს ერთ პატიოსან პირს ეკვლესიაში ცუდის სუნი-საგან პირღებინება აუტყდაო». ალბათ 1891 წელში,

დღე პარასკევს ც-ძ-ს ასულს შეემთხვა ეს და ამა წლის სექტემბრის 8-ს გ-ძ-ს ასულს შეემთხვა ესევე, და ერთს საათს უსულოდ ეგდენ, იქნება ეს მიაწერა მიცვალეზულის ცუდ სუნს?! «მღვდელი კიკვიძე, დი-დი ხანია, ს. ობნაში არის და ხალხისათვის არ უნა-ხავს კაცს, რომ მას რაიმე საქველმოქმედო საქმეზე შეგონება მიეტყოს». ვინც ჩემს ისმენს, შეგონე-ბელი და დამირიგებელიც ვარ და ილია ჩხეიძე, არა თუ ჩემსას, არამედ ოთხმა პატრიარხმა და თორმეტმა მთავარ ეპსკოპოსმა რომ დაარიგოს, იმათსაც არს გაიგონებს. ბ. ჩხეიძე განაგობს: «მღვდელი კიკვიძე პირნათლად არ ემსახურება თავის მოვალეობასაო». ამაზედაც უნდა ესთქეთ ორიოდე სიტყვა. დღიდამ ეკვლესიის აღშენებისა მე მოეწადანე ეკვლესიის გა-ლავნის გაკეთება, მაგრამ ეს საქმე ეკვლესიის აღშე-ნების საქმეზე უფრო ხაძნელოდ დამირჩა. ეკვლესიის ვალავნის გაკეთების თაობაზე ბლად. დეკ. მიხეილ მჭედლიძე ორჯერ მობრძანდა და შევაგონა ხალხს, მაგრამ ვერაფერი ვერ გააჩივა; შემდეგ ამის თაობა-ზე გაუფხავნა მიწერილობა ბლდათის პოლიციის ბოქაულს. ბოქაულმა მამასახლისს მოანდო ხსენებუ-ლის საქმის შესრულება, მამასახლისი მივიდა წარ-სულს წელში ეკვლესიაზე, შეკრიბა ხალხი, და აი-ძულა გლეხები ეკვლესიის ეზო შემოვლობათ, გლე-ხებმა და ზოგმა აზნაურებმააც თავ-თავისი ხეცდრი შერაგვეს და ბ. ილია სომონის ძის ჩხეიძის ხეცდრი და ზოგი ხეცებისაც დღესაც შეურავგავად გახლავთ დაშთნილი. კარგი იქნებოდა ყოველ შემთხვევაში მისი სურვილი შემესრულებია, გლეხები შემგონებია და მისი ხეცდრი ლობე შემერავგავებია, მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ მე არასფერს არ და-მიწერდა.

ობნის ლევის-მშობლის ეკვლესიის მღვდელი
არისტოულე კიკვიძე.

დ რ ო ბ ა მ ო ო ო ც მ ა ლ ა .

„მე გარ მწუქეში კეთილი: მწუქესთან
კეთილმან სული თვისი დასდგის
ცნობართთვის“ (იოანე 10—11)*

(გუშდენი ახალგაზდა მღვდელის).

(დასასრული *).

ნუ თუ ეს ახალგაზდა მღვდლები არ გრძობენ, რომ მხოლოდ გონების განათლებას და ზნეობის ამაღლებას შეუძლია ზენი ხალხის გამოხსნა იმ სინდელისაგან, რომელსაც გავრემოუცავს მისი ცხოვრება? ნუ თუ მათ არ იციან, რომ განათლების შუქს შეუძლია გაქარწყლება ზოგიერთ ისეთ ზნე-ჩვეულებებისა, რომლებიც დიდთა მუნებელნი და საზარალონი არიან ჩენი ხალხისათვის? რას შეუძლია ხალხში ცრუ-მორწმუნოების და ცუდი ჩვეულების მოსპობა, თუ არა გონებითი გაწრთენას, სამწყსოს ზნობრივ ამაღლებას, განვითარებას? სად შეიძლება მოძღვარმა სამწყსო გაწრთენას ისე, როგორც ეკლესიაში და იქვე სკოლაში მუდმივი ქადაგებით, სწავლებით და დარიგებით? ყოველ ხალხს თავისი ზნე-ჩვეულება და ცრუმორწმუნობა აქვს. ჩვეულებაჲ აარის და ჩვეულებაჲ, ზოგიერთი ჩვეულება ხალხის ფიზიკომიას შეადგენს, მასში ნათლათ გამოჩანს მისი ისტორიული ელფერი, ცხოვრების მსგელობა; გავლენის ქვეშ ყოფნა და სხვა. ამ გვარ ჩვეულებას ნასწავლი მღვდელი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს და მის მოსასპობლად არ უნდა შეიარაღდეს. ჩენს ხალხს ისეთი ზენი აქვს ისეთი ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნობანი, რომლებიც არცხევენ მათ და ანადგურებენ ნიეთიერად. აი, შეილო, აქ არის ნასწავლი მოძღვრის მოვალეობა წინააღმდეგს ამ ფარულ სენს და ამოავდოს იგი ძირიანად. ყოველი ჩვეულება შეზრილილ-შემორაცხულია ხალხთან. იგი შთამავლობით ვადადის ერთიდან მეორესთან და თუ მეტნიერებით აღჭურვილი შთამავლობა არ შეხედა—მრავალ საუკუნეს იმოგზავრებს ასე. მამ ჩვეულების უცებ შეტაკება და ამოფხვრა ძირიანად შეუძლებელია. რაც ას წლობით სწამს ხალხს, ვერა და ემსა-

ხურება—ორ-სამ თთენში, ან ერთ წელიწადშიდაც შეუძლებელია მოკესო. ეს ზოგიერთ ახალგაზრდა მღვდლებს არ გვერათ, და მიხვალთ თუ არა სამწყსოში, გსურსთ ყველაფერს ერთად წინააღმდეგთ, არა, შეილო, საქირია მოიკადლოთ, ვიცნოთ ხალხი, უქადაგოთ მათ ეკლესიაში, ასწავლოთ მათ სკოლებში და ამგვარად მოამხადლოთ, მიიყენოთ იმ გონებით განხილობადის, რომ თვითონვე დარწმუნდენ თავიანთ საქციელში; თვითონვე მიხედენ და სთქვან, რომ ესა და ეს ჩვეულება სწორეთ სისუფლევ და ჩენთვის საზარალო ყოფილოა. აი მაშინ განიარებს მისი მოძღვრის გული, აი მაშინ გამხნედედა და უმატებს ქადაგებას მღვდელი, როდესაც ასეთ მიზანს მიიღწევს. ამის შემდეგ არც უთავბოლო საჩივრები მღვდლებზედ, არც სიძულვილი და არც არა სხვა რამე უსიამოვნება არ იქნება მოძღვარსა და სამწყსოს შორის.

რამდენი კეთილი საქმის ვაკეთება შეუძლია სოფლის მღვდელს ხალხში, თუ გულთთ ემსახურება თავის მაღალ მოწოდებას. აი, თუ გინდ, ავილოთ ის საზოგადო სენი, რომელსაც მაგრათ გაუღდამა ფესვები ჩენს საზოგადოებაში. მე, შეილო, ამ სინდისს სიდაბლეზედ—მექრთამობაზე გუებნები, რომელიც ასე ამდაბლებს ადამიანის ზნეობას და ლუავებს, ავალიანებს ზაბალ გლენზობას. ნუ თუ ამ სენის ამოფხვრა ან ცოტათოდ შესუსტება მაინც არ შეუძლია მოძღვარს და ისიც კარდეს ნასწავლ სემინარიელ ახალგაზდა მღვდელს? შეუძლია, როგორ არა, მაგრამ ან სულ არ აქცევს ამ მხარეს ყურადღებას და ან მოსპობის მაგიერ თვითონ შეელის მის განვითარებას, მის კიდევ უფრო გაეცულებას ხალხში. ქრთამის აღების შესახებ ერთგვარი შეხედულება არის ხალხში, წერილ ჩინოვნიკების და სოფლის მოხელეების შემწერობით ხალხი იმ ღრმა რწმუნდის მისულა, რომ ვერ დააჯერებ, თუ საზოგადო ასპარეზედ სამსახური შეიძლება ისე, რომ ქრთამი არ აილოყო. ხალხს ამაში ვერ დააჯერებ და სიმართლეს რომ ეუბნებოდე, მაინც გიხმობს გვერდზედ და მემისახურეთ, ბატონო, გამიკეთეთ ეს საქმეო, გუებნება.

ისედაც ვალაგატებული ხალხი ამ სამხედრო მეგვარამ კიდევ უფრო ვაათახსირა. ვინ არ სარგებლობს ხალხის უმეცრებით. გაიძევრა წერილფებს ჩინოვნიკობა და სოფლის ადლაკატები სიადანლაც ტყუილილოებენ „საღდათად“ გამოსაყვან სიეებს; მილიან

* იხ. ძმწევისა)-ს № 21, 1893 წ.



გლებებში, აძლევენ პირობას, რომ მე დაგიხსნი შეიღოს სალდათობისაგან და რას მოამკებო? «გაქვირებული კაცი ხავს ვიდებოდა» ნათქვამია. გლენიცი ინდის ასს—ორას მანეთს და სრულენთ კმაყოფილი ბრუნდება შინ თავის შეილითურთ, რომელიც, ვითომც იმდენს ეცადა, დააბრუნებია, ის კი არა თუ მის შეიღოს ისედაც საღავათი ჰქონდა—და გაანთავისუფლებდნენ. აქ აი რა დასპარება შეუძლია ახალგაზდა ნაწაწაღ მღვდელს? თუ ის ნამდვილი მოძღვრია და მამა თავის სამწყსოსი, ასე უნდა მოიქცეს: გადმოიწეროს საშხედრო წესების ის მუხლები, რომლებიც ჯარის კაცების გამოწვევას ენება, გადმოთარგმნოს და ყოველი წელიწადს შემოდგამაზე ნაწირებს აუხსნას ხალხს: რას ნიშნავს საღავათი, ვის შეიღოს წაიყვანებენ, თუ გჯერა შეხება და ვისას არა, ეს მღვდელმა, ადვილი შესაძლებელია, იცოდეს, მაგრამ, საუბედუროდ, არამც თუ ასე იქცევიან ზოგიერთი მღვდლები, არამედ თვითონაც არ იციან კარგათ ეს წესდებულებანი.

— ეს, თუ გინდა, ასე იყოს, მაგრამ ეს ძველი მღვდლები ჩვენ რით გგვობდნენ? ნუ თუ ჩვენზედ უკეთესად ემსახურებოდნენ ხალხს, რომ ასე აღტაცებით იგონებს იმ ნეტარ დროს, როდესაც მას მოძღვრად ძველი მღვდელი ჰყავდა? გააწყვეტია სიტყვა მამა ილარიონმა.

— აი, ეს რას უნდა მივაწეროთ, შეილო! ეს დროს და განათლების ბრალია და არა მარტო თქვენი; თუმც არც თქვენ გიმეფსთ ამ მძიმე საქმეში ცოტაოდენი წილი.

ვის შეუძლია ხალხს შეეყვაროს სკოლა, თუ არა მის კეთილ მასწავლებელს? ვის შეუძლია ხალხის თვალში აღამალოოს და გაადილოს ქრისტეს სარწმუნოების და წმიდა ეკკლესიის მაღალი დანიშნულება და მნიშვნელობა, თუ არა გონიერს და სასოებით საესე მოძღვრის—სოფლის მღვდელს? ჩვენს ხალხს ერთგვარი შეხედულობა აქვს მღვდლის პირობობის შესახებ. ეს შეხედულობა დროთა გამო განხორციელებულია მასში.

ნუ თუ, შეილო, შენს სოფელში ერთხელ მაინც არ მოგიკრავს უფრო ხალხის თქმულებისათვის; პატრიონს, ბრძენ და სასოებით საესე პირზედ იტყვიან ხოლმე ჩვენში: «სწორედ სამღვდელს ადამიანი ეს ჩვენი მესზღველი იყავი, ან ოქროპირი».

სამღვდელს პირები ჩვენს დროს თითქმის გან-

გებ ირჩეოდნენ საზოგადოებიდან. ყველა სიკვილის შეიღოს არ შეეძლო სამღვდელთ მომზადებულობა. მათ თავისი დაბრახისულ ცხოვრებით, ზნეობრივ ოჯახის შეიღობით, მტკიცე ხასიათით და წყნარის ყოფაქცევით საზოგადოება თითქმის პატარაობიდანვე იცნობდა. იგი სრულებით დაბრძენებული, დაეჭვაცებული ანუ, როგორც იტყვიან, დაძვარის ხასიათის იყენენ მაშინ, როდესაც მოძღვრებათ ხელდასხმული ქრისტეს ყანაში საშრომლად მწესდებოდნენ. მათი ამგვარი ხასიათი ხალხზედაც შესამჩნევ კვალს აჩენდა და ხალხს უნებლეთ ევაძებოდა თავისი მოძღვრის სიყვარული, პატივისცემა. გულმოდგინეთ უსმენდა სირველოცვას, რადგან თავის მოძღვრის ცხოვრებაში ეტრფერს ბიწირებას ვერ ჰხედავდა, ვერც წარსულში და ვერც აწმყოში. თუმც დღევანდელი მღვდლები, სახედნიეროდ, გონება გახსნილები ბრძანდებით; სემინარიის განათლებით აღჭურვილი და ვითომ მომზადებულებიც, მაგრამ რა სასოება მოუფა მოხუცებულ გლეხს იმ ახალგაზრდა მღვდლისა, რომელსაც 21 თუ 22 წელიწადი გერკიდვე არ შესრულებია, პირზედ ზალანი არ ეტყობა და ყმაწვილური ვაგბეცა ოცნებანი უფრო სხვა მხრივ იპატეებენ, იზიდავენ მას, ვიდრე თავის პირ და პირ მძიმე მოწოდებისაღმი!

შენც დამარწმუნები, ჩემო ილარიონ, რომ ბევრი შენი აზნანაგებთაგანი სრულებით თავის სურვილს და მიმართულების წინააღმდეგ მიღიან სოფლის მღვდლებად, როგორ შეეყვარებს ისეთი მღვდელი თავს ან ეკკლესიას, რომელიც თვითონ არ უყვარს, რომელიც კითხვის დროს ამ სიტყვებით იმართლებს თავს: «მაშ რა მექნა, შიშობილი ხომ არ მოაკვდებოდი. მეტი გზა არ იყო, მღვდლად უნდა წაესულიყავო».

ყველაფერს რომ თავი დაეანებთ, დღევანდელი კურთხევის წესებიც დიდათ მოქმედობენ ჩვენი ხალხის შეხედულობაზედ. ნუ თუ სამწყსომ არ იცის, რა საშუალებით ჰყოლობს დღევანდელი მღვდელი შეძლებულ სამწყსოს. ნუ თუ ჰეჭირებთ, ხალხი ვერ გრძობს იმას, რომ ზოგიერთი მღვდლები თავის სამწყსოს, სამრეფლოს თითქმის მამასისხლად ყიდულობენ. ეს სასყიდელი მღვდელს აუარებელი სარგებლით კისრზედ აწევა და ამგვარი გაჭირება მღვდლისა, ვინ არ იცის, რომ მისი მრეფლის საკვაწაწვეტო შეიქნება აღრე, თუ გვიან. ამგვარ ხრიკებით და უკულმართ გზებით შესულ მოძღვრის, რა გასაკვირ-

ველია, შვილო, რომ ხალხიც დაუნდობელი თვალით უცქეროდეს. ბევრგვარია, შვილო, დღევანდელი ჩვენი ხალხის გულციობის მიზეზები, მაგრამ ერთ უმთავრეს მიზეზად ჩვენი დღევანდელი ცხოვრების გადასხვაფერება ჩათვლება. დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ჩაზრბი სრულებით სხვანაირად ტრიალებს. ჩვენი ცხოვრება სრულებით არ წაგაგეს ჩვენ მამა-პაპათა ცხოვრებას და ამ ცხოვრებასთან, ჩასაკვირველია, ხალხიც გადაკეთდა—გადასხვაფერდა. ამა გადაველე თვალი ძველებურ ცხოვრებას, დააკვირი მას კარგათ და დარწმუნდები, რომ თუ დღეს თითქმის რამოდენიმე კაცის მოკლა, დახტევა-გაგლეჯვა გესმის—უწინდელ დროში ეს შეიძლება ათ წელიწადში ერთხელ მოხდებოდა, ისიც უტყბედად და არა შურით, მოძმის სიძულვილით.

მაშინ თუ საიეს იყო სხვა და სხვა დაწესებულებათა მოსახსახურე პირებით ჩვენი ეკლესიები—დღეს მაგიერ ერთსაც ვერ ჰხედავთ მათგან ეკლესიაში. ინტელიგენციას, საზოგადოების განათლებულ ნაწილსაც დიდი გაელნა აქვს ამ შემთხვევაში. უმცარი ხალხი განათლებულს უყურებს. თუ რომელიმე სასამართლო უფროსი ჰშირად დაბრძანდება ეკლესიაში, იქწარიღვენი ჩინოვნიკობაც ხშირად დადის. ეს თითქმის უფლგან შემტყულია. ამის მიზეზები, შვილო, ძლიერ ბევრია, მთელი ჩვენი სოციალური წეს-წყობილება, ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი საზოგადოებისა, თით პირადად მოძღვრისა ძირილ ბევრს მასალას იძლევა ამ მიზეზების გასამარტებლად, მაგრამ ამ მოკლე საუბრით არ ძალბძის, შვილო, ევლადერი დაწერილებით ვაგიპარტო, მხოლოდ გირჩეე უმთავრესი მიზეზები ისეე შენს პირადობაში და ნამდვილ ცხოვრებაში იხიე მეწმუნე, შენი ცხოვრება და საზოგადოების მდგომარეობა დაკვირება უტყუარ დამტკიცებებს მოგცემს ამის შესახებ.

კადეე ბერი მაქეს, შვილო, შენთან სალაპარაკო, მაგრამ ამაღამ ესეც კმარა. იპედი მაქეს ჩემი საუბრით ისარტებლებ და შენს სამწესოში ჩანერგაე ნამდვილ, პატროსან მოძღვრის სიყვარულს და პატრიისციმას. უთხრა ეს მ. იოანემ თავის ახლგაზრდა სიძეს, მ. ილარიონს, შემდეგ მოკიდა ხელი, მეორე ოთახში შეეყვანა და ორიენი ვახშამს შექქენე. ეახშიმს დროსაც, დრო გამომგებით, ჩამოუგდებდა ხოლმე ლაპარაკს მ. ილარიონი ამაეე სვანზედ, მაგრამ ძოუტკლოლობსა გამო, მ. იოანე მართო ამ სიტყვებს იმეორებდა:

«დრო გამოიცვალა, შვილო, დრო!»

თოფო. ხსენიკაბე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

კვირას, 12 დეკემბერს, აკურთხეს ქუთაისის სამეურნეო სკოლა. ამ სკოლაში სწავლა 1 დეკემბრიდან დაიწყო, მაგრამ სკოლის კურთხევა ამ დღისათვის იყო დაიწმული. დღის 12 საათზედ სკოლაში მობრძანდა ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და შეუღდა სკოლის კურთხევას. პარაკლისის დროს გალობდნენ თვითონ ამ სასწავლებლის მოსწავლენი ბ. ან. ბენაევის ლოტბარობით. სკოლის კურთხევის დაესწრო ბ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და ყველა წოდების წარმომადგენლნი და დიდხალი ვარემე ხალხი. სკოლის კურთხევის შემდეგ ამ სკოლის მზრუნველმა ბ. ხოჯაევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენეს ისტორია ამ სამეურნეო სკოლის დაარსებისა. ბ. ხოჯაევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბ. ლ. ნ. ასათიანმა, რომელმაც განუმარტა შეკრებილ საზოგადოებას მთავრობის ზრუნვა ამ ახლად დაარსებული სკოლის შესახებ. ბოლოს გრძელი და დიდ მნიშვნელობიანი სიტყვა წარმოსთქვა ბ. დ. ნ. ბაქრაძემ, რომელმაც ცრულად მოუთხრო საზოგადოებას, თუ რა მდგომარეობაში იყო მეურნეობა ჩვენს საქართველოში ძველის დროიდგან დღემდე. ბ. ბაქრაძის ეს საყურადღებო სიტყვა დაბეჭდება ჩვენს გამოცემაში.

სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მრავალი საპატრიო პირნი მიპატყებულ იქმნენ სკოლის კამიტეტისაგან ჩივზე. ამ დღეს სასწავლებლის კამიტეტმა მრავალი მილოაცის ტელეგრაფები მიიღო სხვადასხვა კუთხიდან.

* *

30 ნოემბერს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოხდა წლიური ანგარიში ამავე სემინარიაში უანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზე დაარსებული ძმობისა*. ამ დღეს სემინარიის ეკლესიაში სწირა საქართველოს ექსარხოზმა, ელადიმოზა. წირვის შესრულებებს შემდეგ მათი მეუფემა შეზრძანდა სემინარიის შესაკრებელ ღარბაზში. აქ მ. რეკტორმა


წიკითხვა წლურად ანგარიში სემინარიის შესახებ, ხოლო მღვ. მ. ბერძენიძე წიკითხვა ხსენებული «მომბის» ანგარიში. მასწავლებლებმა ბულღაკოვმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც გააცნო შეკრებილი საზოგადოება «ბაბტიკების» სწავლამოდლებს და მისს სეგმედს თაედამ მოყოლებულ დღემდე. კრებაზე დაესწრა კავკასიის სამოსწავლებლო ოლქის წარმდელი კ. პ. იანოვსკი და სხვა მრავალი პირნიც. აქტის გათაების შემდეგ მათი მეუფება და სხვა საპატიო პირნი მიწვეულ იქნენ საუბმზე მ. რეკტორისაგან.

* *

დეკემბრის 1, 2 და 3 რიცხებში სემინარიის ყველა მოსწავლეებმა თაე დაანებეს სწავლას. თხოენა მიართეს მის მაღალ ყოვლად უსამდღელოაესობას, საქართველოს ექსარხოხს ელადიპირს. მოწაფენი სთხოენ მათ მეუფებას, მოაშოროს სემინარიას სამიოდ მოსამსახურე პირი, რომელნიც, მოწაფეების ჩენებით, ეთომც ფცტლად ეყრობიან მათ. თხოენის აღსრულება არ მოხერხდა და ამის გამო მოწაფეები კლასებში აღარ შედიოდნენ. ეს ამბავი მოხსენდა უფშ. სინოდის ობერპროკურორს, რომელმაც ბრძანა მოწაფეების დათხოენა ახალი განკარგულების მოხდენამდე. ამასთანავე დაინიშნა ამ საქმის გამოსაძიებლად რუეობრი ბ. ნიჭაევი.

* *

თბილისის მიხეილის საეადმყოფოში 11 ამა დეკემბრის რიცხეს გარდაიცვალა ბ. აღექსანდრე ყაზბეგი. ამ ახალ-გაზდა ბელეტრისტის დაკარგვა სამწუხარაა მთელი საქართველოსათვის, აღექსანდრე ყაზბეგი ჯერ კიდევ ახალ-გაზდა იყო, მაგრამ თავისი ნაწერებით ისეთი კვალი დააშინა ქართულს ლიტერატურას, რომ იგი ეკედლე იტენება, სანამ კი ქართველობა არ მოისპობა.



სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

თ ა ფ ღ ი ს წ ე ა რ თ ი ი .

(გაგრძელება *)

არ შეიძლება დაესთანხმდეთ იმ აზრს, რომ რაც თანდათან აღამიანი ბუნებას ერევა და სპობს ტყემინდერებს, აქცეეს მას ბალებად და ყანებად, მეფუტკრეობა უკან და უკან მიდის. ამისათვის მრავალი მეფუტკრეები სიანულოთ იგონებენ ძველ დროს და ამტკიცებენ, რომ აწ იმ სარგებლობას არ უნდა მოველოდეთ მეფუტკრეობიდან, რაც ყოფილა ოდესმე. მაგრამ იმასაც არ უნდა ეციწყებდეთ, რომ აღამიანი ბუნებასაგან დასაჩუკრებულია დიდი ნიჭიერებით, რომლის შემწერობით მას შეუძლია ერთი ორად და სამად ამოიგოს ის, რაც დაჰკარგა მან ევლური მცენარეების გაწყობით; მას შეუძლია გააშენოს თვისეთი თაფლით მდიდარი მცენარეები; შეუძლია, მეფუტკრეობას განიფრულოდ მოჰკიდოს ხელი და არ გაიხანოს მოსაგონებლად ძველი დროება. ევლურ მცენარეობას, მართალია, შეუძლია ბევრი თაფლი მისცეს ფუტკარს, მაგრამ მშრომელი და რიგინაოდ მცოდნე მეფუტკრე ადილოად გააშენებს კარგ თაფლის მოამცემ ბალახებს და ისე დროს შერჩევით, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში მუდამ ეშოეებოდეს ფუტკრებს თაფლი და არ ზარმაკობდენ მანძინ, როდესაც ბუნება ასე დროს შერჩევით თაფლს ეერ მისცემს.

გარდა ყვეილებისა ცოტა თაფლი არ იკრიბება ფოთლებიდანაც, ნამეტურ გოლვის დროს; მას ქართულად უწოდებენ «თაფლის მანანას».

შინაგანი მენობა სკვისა და მუშაობა ფუტკრებისა.

მთელ შინაგან სკვის შენობას ამზადებენ ფუტკრები წმინდა სანთლიდან, ფიჭებს (სარაჭებს) აყარენ

სკის ქვრზედ და ჩაჰყავსთ ძირს ვასაოცარი სისწო-
რით. ფიჭები წაეწყობიან ერთი მგორეზედ^{3/11} გო-
ჯის სიშორით. მათ შორის შუა თავისუფალი აღდგლი
იწოდება ფიჭის ქუჩად. თუ უკანასკნელი საფრენი
თვალის პირდაპირაა, მაშინ ფიჭების შენობა ცივია,
თუ ქუჩა არდიგარდა და საფრენი თვალი ფიჭის
გვერდზეა, მაშინ შენობა თბილია. პირველ შენობიან
სკებში ფუტკრები შესვლის დროს პირდაპირ ქუჩებში
მოხვდებიან, ცივ შენობიან სკებში კი ფიჭებს უნდა
შემოუყარონ და მეორე გვერდიდან მოძებნონ ქუ-
ჩები. ფიჭა ანუ სარაქი შესდგება ერთი მგორეზე
წაწყობილ ბუდეებისაგან, რომელნიც თავის დანიშ-
ნულებით და არსებობით იყოფებიან მუშა ფუ-
ტკრის და მამალის ბუდეებად. ფუტკრისა და მამალი
ფუტკრის ბუდეები ძალიან შესაძინევად განიზრჩევიან
ერთი მგორისაგან. ვასამაგრებელი ბუდეებით ფიჭები
ეკვრება და ჰყავდება სკის ქვრზედ და გვერდებზედ.

ფიჭებს სკაში აშენებენ ფუტკრები, როგორც
ზევითაა ნათქვამი, მაღლიდან ძირს, ძალიან ძვირად
ძირიდან მაღლა. ნაყრები და განაყოფები ჯერეთ
აშენებენ საბარტყე ბუდეებს, რომლებშიც აგრეთვე
აგროებენ თავლსაც. უდღოა და მონაგრის დედო-
იანი სკები სულ ყოველთვის აკეთებენ მონაგრის ფი-
ჭებს. მუშა ფუტკრების ფიჭები (ბუდეები, როდესაც
შიგ ბარტყებია), იმეჭლებიან ფუტკრებისაგან ეაკე,
სწორი თავსაბურავით, მონაგრის კი—გამომბერილი,
უსწორი-მასწორი თავსაბურავით.

ყოველი მატლი ფუტკრისა დაპარკების დროს
სტოაებს თავის პერანგს ბუდეში, რომელიც ეკვრება
მის კედლებზე, ამისათვის, რაც უფრო ბევრჯერ გა-
მოტყდება ერთსა და იმავე ბუდეში ბარტყი, ისე
უფრო ბევრი პერანგი ჩიგება შიგ და თან და თან
ეიწროვდება. ამისთანა ბუდეებიდან გამოსული ფუ-
ტკრები შესაძინევად ნაკლებია ტანით. ამისათვის მე-
ფუტკრე უნდა სცილილობდეს ძალიან ძველი ფიჭები
სკებიდან ვაძიოს, რაც უფრო ძველია ფიჭა, ისე
უფრო ფერ გადკრულია; რამოდენიმე წლის განმე-
ლობაში კი სრულიად შავდება.

თაფლის შესანახ ჭურჭლად იზმარება, როგორც
მუშა ფუტკრის, აგრეთვე მონაგრის ფიჭებიც. ამ
უკანასკნელ დროს მეფუტკრეებად შემოიღეს საშუა-
ლება (მანქანები) ხელოვნური ფიჭის საკეთებლად.
გონიერულ მეფუტკრეობაში ხელოვნურ ფიჭას დიდი
მნიშვნელობა აქვს. ვისაც ნამდვილი ფიჭები ბევრი

აქვს, მაშინ ხელოვნური ფიჭა იმოდენად საჭირო
აღარ არის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კი უკა-
ნასკნელი მიუცილებლად საჭიროა. ხელოვნური ფიჭა
დიდს საღვათის აძლევს ფუტკრებს მუშაობაში და
ხელს უწყობს თაფლის შენახვის დროს. ნახევარ
გირვანჭა წმინდა სანთლის (რომლისაგან ფუტკრები
ავებენ ფიჭებს) გაკეთებას უნდება, ამობენ გამოც-
დილი მეთუტკრეები, ათი გირვანჭა თაფლის მონე-
ვლება გარდა რამოდენიმე ყვავილის ფეკილისა. სულ
რომ ძალიან დაეამკიროთ ეს რიცხვი, მაინც მრავალ
თაფლს დაზოგავს მკოდნე და მოხერხებული მეფუ-
ტკრე ხელის შეწყობით და ტყუილ უბრალოდ არ
დახარჯიანებს მას. ძალიან სცდება, ვინც ამტკიცებს,
რომ ფუტკრები არ საჭიროებენ მზა ფიჭას, რადგანაც
თვითონაც კარგად აკეთებენო და არც ისე ეძინე-
ვებთ მისი შენებაო. ამაში ადვილად დაერწმუნდებით,
თუ თაფლის ძლიერს საშოგრობის დროს ერთ სკაში
ჩაეწყობთ ცარიელს და მეორეში ფიჭიან ჩარჩოებს.
სანამ პირველში ფუტკრები ფიჭებს დაჰპაღებდნენ,
მეორეში ორჯერ-სამჯერ შეგვიძლია დაეცალოთ
თაფლით ახლად გაესილი ფიჭები. გარდა ამისა ფი-
ჭების მზადების დროს ფუტკრები სცდებიან თაფლის
მოტანაზე და ესეც ცოტა ზარალს არ აძლევს მეფუ-
ტკრეს. მეფუტკრე უნდა სცილილობდეს, რაც შეიძ-
ლებია, სრული შენობა იქმნეს სკაში, თუმცა სრუ-
ლიად განთავისუფლება ფუტკრებისა ფიჭების კეთე-
ბიდან სახარალო იქნება.

ავადმყოფობა ფუტკრებისა

ყოველმა მეფუტკრემ უნდა იცოდეს როგორც
ავადმყოფობა ფუტკრებისა, აგრეთვე საშუალებანი
მათ წინააღმდეგ. მათ შორის მეტად მანებელი არის,
ეგრედ წოდებული, მყაყი ანუ ფუტკრის ფიში.

მ ე ა ე ი

მყაყი არის ორიგვარი—ხმელი და ნეღლი. ხმელი
მღვამარუობს მასში, რომ ბარტყები, როდესაც ჯე-
რეთ კიდევ მატლებად არიან და სძველან ბუდის ძროზე,
ჰკედებიან? სიკვდილის შემდეგ იხრწებიან, ლბებიან
და უშვებენ მყაყე მანებელ სუნს. სანამ ამაგარი

მყაუი არ გაღონიერებულა და არ მიუღია ჯღანის წყობას სუნი, ძლიერ მანებელი არ არის, ფუტკრებს ადვილად შეუძლიათ გასწმინდონ სკა. ახლც გადაედება სხვა სკებს, თუ ავადმყოფი ფიჭა შეცთობათ არ ჩანდებიო საღ სკაში. ხმელი მყაუი ზოგაერთ ხელის შემწყობ გაჩემობაში გადაიქცევა ხალმე ნელდ, ძლიერ მანებელ სენად—ფუტკრის ჟამდ, რომელიც სწრაფად გადაედება და მოივლის მთელ სკებს. განდევნა ამ სენისა და განწმენდა სკისა შეუძლებელი შეიქნება ფუტკრებისათვის და ძალიან საძველო თვით კარგა გამოცდელ მეფუტკრისათვისაც. უკანასკნელ შემთხვევაში უმრავლესობა ბარტყებისა კვდება ბარტყობის წინდ, ანუ იმ დროს; ბუღების თავახურები ჩაიდრიკებიან შიგნისაკენ და გაუნდებთ ჭურჭუტანები, რომ გახსნათ ამისთანა ბუღე (მოაძროთ თავახურადი); შიგ შიამნეეთ შავს, წებოს მსგავს უსიამოვნო სუნის სითხეს, ტალახად გარდაქცეულს, რომელიც შემდეგ დაახმება ბუღის ძროს. ამისთანა ბუღეების გაწმენდა აძლევს ფუტკრებს იმდენ მუშაობას, რომ ხშირად მათ დასჭირდება ხალმე მთელი ფიჭების წახდენა, დაღვჯეა და ვადაყუა გარედ, რომ გაღარჩნენ გადამდები მყარალი სიღამლისაგან. სანამ გამოღიერებულდეს სენი, ღონიერ სკას შეუძლია ებრძოდოს მას, მაგრამ უმეტეს ნაწილად ამის შედეგია თანდათან დასუსტება და ბოლოს სრულიად მოსპობა ოჯახისა.

მყაის (ჟამის) წამლობას უნდა შეუდგე დაუყონებლივ და ფრთხილად ექცეოდე საღ სკებს, რომ აღარსად განდეს; მიუცილებლად საჭიროა ავადმყოფი სკების გადატანა საფუტკრადამ და იმ ადგილებზე, სადაც ისინი იდგნენ, კარის მოყრა, თუ წაყენა არსად მოხერხდება და წამლობაც შეუძლებელია, მაშინ სჯობს ისინი დასწყვიტოთ გოგირდით, ბუღე დანგრეოთ და გადაადლოთ როგორც სანთელი, ისე თაფლი. დაცარიელებული სკები გარეცხეთ კირ ნარევი ნაცარწმენდით, მერმე წმინდა წყლით და ბოლოს უნდა უხრჩოლოთ ისევე გოგირდი, რის შემდეგ დაიკვეტება და ისე დარჩება ერთ დღე და რამეს ამის შემდეგ სკაში ისევე შეიძლება შეუშვათ ფუტკარი, მაგრამ სიფრთხილისათვის სჯობია მერმე წლადის აღარ იხმაროთ. წამლობის დროს უშიშრად შევიძლიათ ამოიყენოთ დელო ავადმყოფი სკიდგან

და სხვაგან იხმაროთ, მაგილითად, ხელოვნურ ნაყრებში ანუ უდელდა სკებში, მხოლოდ მუშა ფუტკრებს კი უნდა მოერიდოთ, მათ ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ თან სენი. დედოს წართმევის შემდეგ ავადმყოფი ოჯახები უდელად დარჩებიან, სანამ ახალს გამოიყვანდნენ, ბარტყობა შესწყდება დროებით და სუნიც შესუსტდება. ამ დროს ავადმყოფებს უხრჩოლებენ და აკმევენ სალიცილის სიმჟავეს. ის ძვირი არ არის და შესახებდაეთ თეთრი ფხენილია; იზოგით ყველგან აფუტკებში და აფთიაქის მაღაზიებში. სახრჩოლებლად უნდა გაახუროთ მუშტისოდენა აგურის ნატეხი (არ გაწითლდესკი), დასლოთ ციეს იმისთანა ნატეხზევე და ორივე დასლოთ სკის ძირში და ზევიდამ ცხელ ნატეხზედ დააყაროთ მეექვსედი მისხალი სალიცილის სიმჟავისა. ზევით უნდა გადააფაროთ რკინის ანუ რისამე ბადე, რომ ფუტკრები ზედ არ დასკვიდნენ და არ დაიწვან. სკა ამის შემდეგ ჭიდროდ დაჰმანეთ, მხოლოდ საფრენი თვლები დაუტყვეთ ღია. ამნარად უნდა უხრჩოლოთ პირველად ყოველი ორი დღის შემდეგ, მერმე კი—თითო ჯერ კვირაში და ბოლოს ორ კვირაში ერთჯერ. ასე უნდა შერგბოდეთ მთელ ზაფხულს და განიმეორებდეთ ისევე გაზაფხულზედ. სასარგებლოა ზაფხულში ორჯერ და გაზაფხულ-შემოდგომაზე თითო ჯერ უხრჩოლოთ თვითუელ სხვა საღ სკასაც სალიცილის სიმჟავე, სადაც სკები იყნენ ჟამით ავადმყოფი.

ხრჩოლებასთან ძლიერ სასარგებლოა ფუტკრებისათვის ჰმევა ერთი ვირვანქა თაფლისა, გირვანქა ნახევრის წყლისა და მერთხელი მისხალის სალიცილის სიმჟავის ნახერისა. ჰმევეც იმ რიგზე უნდა, როგორც ხრჩოლება.

აგრეთვე ძალიან სასარგებლოდ სცნობენ ფუტკრის ჟამის წინაღმდეგ სკებში კაცლისოდენა ქაფურის დადებას, რომელსაც სტოეებენ სამ დღეს სკაში და სამ დღეს აცლიან, მთელი თთვის განმავლობაში ასე იმეორებენ.

მიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ
კვირულზე გამოცემათა ძირითულს

„მწევეს“ № 2

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გახეთისა: 1) შეტყობინოს საზოგადოებრივი და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიითა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელთა და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აღსწას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საქეო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საქმიანებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათს მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა შემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის—1) შეტყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და ხანტერესი «მწევეს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას რედაქციის ცხოვრებას.

ფ ა ს ი ქ უ რ ნ ა ლ ი ს ა :

12 თვით «მწევესი» 5 მ. 6 თვით «მწევესი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 3 მ. — ,, ორივე გამოცემა 4 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ «მწევესი» დათმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტარები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეაბადაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზავითვე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეაბადაში, აგრეთვე ქუთაისშია.

ზარევე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრისთ: ВЪ Къирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

«მწევესი»-ს ხელის მომწერებს სასუქრად 1894 წელში დაეროებთ მოზრდილო მსატყრებათ თამარ მეფისა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შოთა რუსთველი მთარმევეს თამარს თავის უკლებლ პოემას ეფუძის ტყუასანს. ამ მხატვრობაზე იქნება დანახული თვით შოთა რუსთველი და თამარს მსჯელებად იმ დროის ტანთ-სამკელი.

მაადება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ გუთთ
საემწეველო სურათებან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბანი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და საერა-ჯიშონი, სამთემატიკო ამოცანები, იგაეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით. ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღვეითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ელირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

რედაქტორი-გამომწეველი ან. თ.-წერეთლისა.
(3—1)

შინაარსი: ქართლ-კახეთის მთელი ვაარქის სამღვდლოების დეპუტატების კრებისა გამო ქალაქ თბილისში.—«მწევესის»-ს გორესპონდენცია გორიდან — თვით-კახეთიარება მასწავლებლისა.—ღია წერილი.—პასუხი ილია სიმონის ძე ჩხვიძეს.—დრო გამოიცვალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—თავლის წყარონი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამოცემელი დეკ. დ. ლაბაშიძე. Доз. цензурою. Кутаись, 14 Декабря 1893 г. Типография редакціи (П. Д. Гамвашидзе) ВЪ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.

